## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1575

ქ. თბილისი „24" „10" 2007წ.

### საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის E-60 საავტომობილო მაგისტრალის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის (კმ56-კმ80) მოდერნიზაციის სამუშაოების სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის № 154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცმის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე №38; 22.10.07 „E-60 საავტომობილო მაგისტრალის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის (კმ56-კმ80) მოდერნიზაციის სამუშაოები";
2. ამ ბრძანების პირველი პუქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მოქმედების ვადა – უვადო;
3. საქართველოს ეკონომიკური განეითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ცხაკაიას მოხსენებითი ბარათი.

დავით ჩანტლაძე

მინისტრი

*ეგ ზავნება:* ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, საქართველოს ეკონომიკური განეითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს